№ 90. 2 მაისი, შაბათი. 1866 - 1881 2 მაისი, შაბათი. № 90

რედაქცია

გალაკანის ბრანსკეტზეთ. ია. ეუნარანის ხახლეში კლუბის ქვეშოთ.

ხელის-მოწერა

ეიღება თელლისში „დროებაში“, „ეგერიაში“ რედაქციაში, ქუთაისში „დროებაიეგერიის“ აგენტთან ი. ჭელინიანთან ხალაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს 3 თვეს

„დროება“ და „ეგერია“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.

ცალკე { „დროება“ . . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„ეგერია“ . . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

ერთ ადგილი ასოებით ასზე 1 კაპ. [illegible] ასზე 5 კაპ. [illegible] ასზე ნახევარი კაპ. [illegible] ასზე შეთხუდი კაპ.

თუ ხანგრძლივი მოითხოვს, რედაქცია კანონიერებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და. უბეჭდელ წერილს რედაქცია ოხტოთ კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი ეიღება ქართულს, რუსულს და ხხვენებზედ.

ქუთაისში განცხადება ეიღება „დროებაში“, „ეგერიის“ აგენტთან.

კალეგნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ქუთაისში მაისის პირველიდამ

გრ. მირიანოვისა და კამპანიისაგან

გაიხსნა ახალი სასტუმრო

„ლივადია“

ხაზაროვის კლუბის შენობაში. სასტუმროს ჩინებულად მოწყობილი ნომრები აქვს კარრიდორებით. ნომრების ფასი 75 კაპეიკიდამ 2 მან. 50 კაპეიკამდეა.

. იმედი გვაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება სრული კმაყოფილი დარჩება ჩვენი სასტუმროსი. (5—1)

ტელეგრამმები

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 30 აპრილს. დღეს პირველ საათზე გაიხსნა ჯრება აქაურ საადგილ-მამულო ბანკის დამპარსებელთა. ჯერ-ჯერობით 134 წევრზე მეტი არ გამოცხადებულა. გაგვიღ 1880 წლის ბანკის ანგარიშის განხილვა ხვალისათვის გადადგეს.

პეტერბურგის ბირჟა, 30 აპრილს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის ხაგენტობა“)

	მან.	კაპ.
ბანკის ბილეთები:		
პირველი გამოცემისა	—	97—50
მეორესი	—	94—50
მესამესი	—	95— „
მეოთხესი	—	95— „
აღმოსავლეთის პირე.	—	93—50
აღმოსავლეთის მეორე	—	93—50
აღმოსავლეთის მესამე	—	93—50
ოქრო, 1/2 იმპერიალი	—	7—97
თფილისის საადგ.-მამ. ბანკის ვირაოს ფურცელი	—	90— „
ქუთ. საადგ.-ქმ. ბანკისა	—	90—75

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი სესხის	—	224—50
მეორე სესხის	—	218—50
1 მანეთი ლირს:		
ლონდონი	—	24—62 1/2 პენსი
ბერლინი	—	124—62 პფენიგი
ამბურღი	—	210—50 ცენტი
პარიჟი	—	260—50 სანტიმი
ქავკასიის კერასინი	—	—

ქუთაისის ბანკის ყრილობა

(„დროების“ კორრესპონდენტი)

დღეს წინა-დღე გახლავთ აქაურ თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთ კრებისა... ჩვეულების წინააღმდეგ სოფლიდამ ჩამოსულ მეკენჭეთა რიცხვი წინანდელსავით ბევრი არ არის, ასე რომ ხვალინდელს პირველს სხდომაზე ასიოდე წევრის მეტი ვერ დაესწრება, თუ ხვალინდელ დღის მატარებელმა ზემო-იმერეთიდამ და სამეგრელო-ზურიიდამ არ ჩამოიყვანა ისინი...

შუა დღის პირველი საათია... ქალაქის ბაღში, სამოციოდე მოკენჭე ჯგუფ-ჯგუფად დგანან და ჩუმ-ჩუმად, თითქო ეშინიანთ სხვათ გააგონონო, ისე მასლაათობენ მომავალს საარჩევანო ბრძოლაზე. ყურით ფრთხილი კაცი ხან-და-ხან შემდეგ სიტყვებს მოკრავს ყურს, რომელნიც უნებლიეთ ხმა-მაღლად სცდებათ მომასლაათეთ:

— ეყო ლოლაბერიძეს, ამდენ ხანს პატივი გვიცია, აწი სხვას უთავაზოს ადგილი!

ანუ:

იმ დალოცვილს ბაქრაძეს ვერც „არაფერი დაუსწავლია, არც არაფერი დავიწყებია.“ არ ეყო ორჯერ გაშავება? მამა ნუ წამიწყდება, თავს ნუ შეირცხვენს და კიდევ ნუ იყრის კენჭს, ის ურჩევნია!...

დიალ, ნ. ბ. ლოლაბერიძე და დ. ნ. ბაქრაძე — ეს გახლავან კანდიდატები ბანკის გამგეობის თავს-მჯდომარეობისა. ორივეს და ორთავეს მომხრეთა ძალიანი იმედი აქვთ თავ-თავიანთი კანდიდატის ამორჩევისა, ორივენი ულვაშებზე იფიცებენ „წრეულს ჩვენია ლელოო!“

პირველს და მისს მომხრეებს იმედს აძლევს წინანდელ ამორჩევათა მაგალითები და მეორენი თავს იმით ინუგეშებენ, რომ წუთი-სოფლის საქმე სულ უკუღმა არ ტრიალებს, ორჯერ გაგვიშავეს კანდიდატი, მაგრამ ამ მესამე ჯერ ღმერთი შეგვეწევა და ჩვენი თომაო...

მაგრამ ამ საგანზედ კელავად მრავალი გვექნება მოსახსენებელი და აწ კი მოვიყვანოთ რამდენიმე საინტერესო ცნობანი ბანკის წასრული წლის ანგარიშიდამ. წასრული წლის ოპერაციები, როგორც სჩანს ანგარიშიდამ ბევრად უფრო ვრცელი და ნაყოფიერი ყოფილა, ვიდრე სულ ბანკის დაარსებიდამ გასულ სამი წლისა და მეტის განმავლობაში. საანგარიშო წელიწადს გაცემულა 1,025,400 მან. გრძელ-ვადიანი სესხი, რომელიც 35,800 მანეთით აღემატება წასრულ წლებში გაცემულ ყველა გრძელ-ვადიან სესხებს. მოკლე-ვადიანი სესხი 6,450 მან. გაცემულა. ზემოხსენებული გრძელ-ვადიანი სესხი გაიცა 184 მამულებზე, რომელთ რიცხვში 123 მამული ქალაქებშია (ქუთაისში, ოზურგეთში და ტფილისში) და 61 სასოფლო. ქალაქის მამულებზე გაიცა 896,800 მან. და სოფლებისაზე— 128,600 მანეთი.

შარშანდელი წლის ოპერაციებიდამ ბანკს დარჩა წმინდა მოგება 36,012 მანეთი და 16 კაპ. (14,159 მან. და 52 კაპეიკით მეტი შარშანწინდელზე). ამ მოგების 50% (18,006 მანეთი და 8 კაპ.) გადადებულია, ბანკის წესდებისამებრ, საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, 13,504 მან. და 56 კაპ. ძირეულის თავნის გასადიდებლად და სანიჯადო კაპიტალის შესადგენად და 4,501 მან. და 52 კ ბანკში მოსამსახურე პირთა სასარგებლოდ.

საზოგადო საჭიროებათათვის გადადებული ფულის განაწილება, რამდენადაც ეიცა, დიდს ბაასს გამოიწვევს. სასურველია, რომ ზოგიერთ გავლენიან პირებმა, რომელთ წყალობით ეს ფულები უკვე განაწილებულიცაა პროექტით, ჯიუტური წინააღმდეგობა არ გაუწიონ იმათ, ვინც ამ საგნის თაობაზედ კარგს და გონივრულს წინადადებას შემოიტანენ...

ბანკის შენახვა წარსულს წელს დაჯდა სულ 26,580 მან. და 94 კაპეიკი... თქვენს უმორჩილესს მონას აქვს ბარონ ნ. ქაულბარსისაგან წრეულს გამოცემული წიგნი: „ჩერნოგორია და ჩერნოგორიელები“, რომელშიაც მოხსენებილია, რომ ჩერნოგორიის თავისუფალ ხალხის სამთავროს თავის უმაღლესის მმართებლობის შენახვა უჯდება სულ 25,000 მანეთი (8,000 მანეთი მთავარს ნიკოლოზ I და სამ-სამი ათასი მანეთი თითოს ექვს მინისტრთაგანს). მაშესადამე იმერლებს 1,580 მანეთით უფრო ძვირად უჯდებათ თავიანთი ბანკის მმართველობის შენახვა, ვიდრე თავისუფალ ჩერნოგორიის ხალხს თავისი დამოუკიდებელი მმართებლობა.

«დროების» ფელეტონი, 2 მაისი.

მეკენჭეთა საუბარი.

— ულიპურწ - ულუპურწ!..

— შაქარ - შაქარ.

— შენც შეგერგოს.

— და თუ არა?

— ეულიფოთ.

— შავში?

— მაშ არა - და...

— ვისი - ვისკენ?

— ვინც გაგვაძლოს.

— რას უფრო სჭამ: ზუთხს, თუ ლორებს? მეზუთხე ხარ, თუ მალორე?

— ამ სიცხეში ლორი გვაწყენს. ზუთხს მივმართოთ.

— მე კი ლორს ვსჭამ

— რომ გაწყინოს? ლორი მუცელკეთილ აჩენს.

— არც ზუთხია უწყინარი: ანთებას გააჩენს ხოლმე.

— მაინც ზუთხი აჯობებს ლორს.

— ვერ მოგართვეთ! ლორი დასძლევს: უფრო დიდხანს ინახება მარილწყალში გამოსული.

ზუთხმა რაღა დააშავა? პირი თუმცა პატარა აქვს, მაგრამ ბოლოს დიდათ იქნევს...

— თუ რომ წყალი ახლოსა აქვს... ადრე მიტომ იმარჯვებდა, რომ რიონის პირად იყო. ახლა შუა ქალაქშია... მშრალზედ რჩება, პირ-გამშრალი.

— რომ არც ზუთხი და არც ლორი, თუ რომ ღომი არ იქნება!..

— ღომსაც ბლომათ მოეღიან.

— მაზანდა აიწეოდა?

— რა თქმა უნდა? ერთი-ორათ!.. იჯარითაც აუღიათ.—

— მართლა ანბობ? მაშ რამდენათ?

— ხუთას თუმნათ... ხუთას თუმნათ! ერთ დიდ-ძალ-ჭეშმარიტათ.

— აბა გასჭრის, რა თქმა უნდა?

— გასჭრის, მაგრამ არ ვინ იცის, ვისთვის გასჭრას და ან ვიზედ, ეგებ განზეც გადუხვიოს... დაელოცოს ძრიელება...

— აბა, მაშინ, ვაი ულიპურწს— ტყვილა ჩავიულიპურწოთ!

— მერე მაშინ რაღა გვეთქმის?

— ულიპურწ-ულიპურწ! —

— ნაღველ-ნაღველ!..

— ულს ჩახრაკავს...

— აი დარდი!..

ვაკი.

ქუთაისი, 29 აპრილს.

მთიულ - გუდამაყარი

(მოკლე ეთნოგრაფიული შენიშვნები)

მთიულ გუდამაყრის ხალხი დუშეთის მაზრისა ბევრით განირჩევა ჩვენი სხვა ქართველთ ხალხისაგან, მაგალითებრ: ადგილით, რომელზედაც სცხოვრობენ, შინაური ცხოვრებით, ჩვეულობით, ენით, ჩაცმით, შეხედულობით, ხასიათით, ზნეობით და სხვ...

გუდა-მაყრის ხალხის შეხედვა საინტერესოვნოა: მშვენიერი ბუნებით ლამაზი, თეთრ-წითელ-ფეროვანი, კოხტა აგებულობისა; აქ მუცელ გაბერილ კაცს ვერ ნახავთ; აქაური 100-ს წლისა, 80-სა, 60-სა ბებრები უმჯობეს ფერზედ, ჯანზედ და შნოზედ ტანის აგებულობისა დაიარებიან,

ბის შენახვა. ამბობენ, ჩერნოგორიელ ნიკოლოზს რამდენიმე ჭრილობა აქვს მამულის თავისუფლების დასაცველ ომებში მიღებულიო. ნეტავი ჩვენს იმერელ ნიკოლოზს რამდენი ჭრილობა აქვს, ან თუ აქვს, რა ომებში მიუღია? ამ კითხვას იმიტომ ვიძლეოთ, რომ ხკალ-ზეგვინდელ სხდომის დროს ბანკის მმართველობის და მის შორის ზამგეობის თავმჯდომარის ჯამაგირის შემცირებაზე აპირობენ, როგორც შევიტყვე, სჯას, და სასურველია წინ-და-წინვე ეიცოდეთ—რამდენი და ეითარი ჯაფა აწევს ბანკის ზამგეობის თავმჯდომარეს. მინ იცის, იქნება ჩვენი ბანკის თავმჯდომარეობის თანამდებობა უფრო ხიფათიანი იყოს სიცოცხლისათვის, ვიდრე ჩერნოგორიის მთავრისა, რომელიც მუდამ ხელ-ჩართულ ომებშია ანუ სახელმწიფო საქმეებით არის გართული...

29 აპრილი.

კიდევ მეგრელების ფულებზე.

როცა უფლება აქვს საზოგადოებას, როცა საჭიროება აუცილებელია და დრო მარჯვე ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლათ, ბეჭდვის პირ-და-პირი მოვალეობაა ამ საჭაროებაზე ხმა მაღლა და გაუწყვეტლათ ილაპარაკოს, სანამ ეს დრო არ წავა და საჭიროება არ დაკმაყოფილდება.

ამ გვარათ ჩვენი მოვალეობის გაგებაა, რო გვაიძულებს კიდევ დაუბრუნდეთ გუშინდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ მოწინავე სტატიის საგანს სამეგრელოს თავად-აზნაურთა სკოლების ფულის შესახებ.

თუ ბანკის ფულებზე ამდენი ჯაფის გაწევა არ ეძნელება სამეგრელოს თავად-აზნაურობას, თუ ის ყოველ წელიწადს მოდის ქუთაისში და მთელი კვირის განმავლობაში მისთვის ძვირფასს დროებასს ანდომებს საზოგადო, გუბერნიის თავად-აზნაურობის ბანკს და არც ჯიბეს ზოგავს ამ საგანზე, განა ეს სკოლის ფულები უფრო პირ-და-პირი მისი საკუთრება არაარის, უფრო ძვირფასი არ არის მისთვის, ვინემ ბანკის ფული რომ ამაზედაც ილაპარაკოს რამე?

რითი უნდა გაამართლონ იმათ ამგვარი გულ-გრილობა და თავის ინტერესების გაუგებლობა, როგორიც ამ საქმეში გამოიჩინეს? ნუ თუ ყოველ თავად-აზნაურს არ ეჭირებ თავის შვილების გაზდა? ნუ თუ იმათ არ ეძნელებათ ქუთაისში ჩამოყვანა თავის შვილებისა და იქ შენახვა, თუგინდ ეს გაჭირებაც არ იყოს, და ისიც, ნუ თუ ყველას ჰგონია, რომ იმათ შვილებისთვის ყოველთვის იქნება ადგილი ქუთაისში?

ყველა იმათთვის არც ადგილი არის ქუთაისში და არც შეძლება იმათ შესანახავათ. თავად-აზნაურობა, გვგონი, დარწმუნებულია, რომ მისთვის სკოლა უკეთესი იქნებოდა სადმე საშუალ სამეგრელოში და არა რიონის პირათ, ცხრა მთის გადაღმა.

მაგრამ ან კი რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი. ის უკეთესი არ იქნება თავად-აზნაურობისთვის, რომ იმათი შვილები ქუთაისის სააზნაურო სკოლაშიაც იქნებიან ბანკის ხარჯზე და საკუთარ სკოლაშიაც სამეგრელოში!

მაშ რატომ, რის გულისათვის უნდა სჭამოს სხვამ თავად-აზნაურების ფული?

ხმა ამოიღეთ, ბატონებო თქვენი პირ-და-პირი ინტერესია აქ.

ახალი ამბები.

—

ზამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც ქავკასიის კარანტინდამოჭნის უწყება შემდეგში პირ-და-პირ ფინანსთ სამინისტროს ექვემდებარება და არა ქავკასიის მთავარმმართებელს. ქავკასიის ყველა კარანტინებისა და დამოჭნის უფროსად გამოგზავნილი იქნება ფინანს მინისტრის ჩინოვნიკი. ახლანდელი კარანტინები და დამოჭნები ქავკასიის აქეთა და იქით მხარეში დროებით იმავ მდგომარეობაში დარჩებიან, როგორც ახლა არიან.

* * *

ზავლილ ორშაბათის სხდომაზე ჩვენმა ქალაქის რჩევამ გადაწყვიტა, მადლობა გამოეცხადოს ბ. ოლნანოვს იმისთვის, რომ ის მუდამ წელიწადს 13,000 მანეთს ხარჯავს თფილისის მოქალაქეთა შვილების გასაზრდელად. ქრებაში გამოაცხადეს, რომ ბ. ოლნანოვი რამდენსამე ახალგაზდა სომეხს გზავნის რუსეთში და სამზღვარ გარეთ, სადაც ესენი იმის ხარჯით სხვადა-სხვა ხელობას სწავლობენო.

* * *

ფოთი-თფილისის რკინის გზაზე დაყენებული ყარაულები და სხვა წვრილმანი მოსამსახურე პირები სჩივიან, რომ ცუდი სადგომები გვაქვსო, ზოგან ერთს ოთახში ხუთი-ექვსი ერთადა ვართ შეჯგუფული და ცუდი ჰავის გამო ავათ ვხდებითო...

* * *

ბაზ. „კავკაზის ქურიერში“ ერთს ძნელად დასაჯერებელ ამბავს იწერენ ზორიდამ: ვითომც იქაურ მთავრობას ქართულ სცენის მოყვარეთათვის ნება არ მიეცეს თ. აკაკი წერეთლის დრამის „ჯულერ-ხასუმის“ წარმოდგენისა, რადგან ამ დრამაში, მთავრობის წარმომადგენელმა სთქვა, ნახირ-ფაშაში, ერთი ჩემი ნათესავია გამოხატულიო!..

ნამდვილი საარაკო ამბავია ეს ამბავი. თფილისში, ქუთაისში წარმოადგინეს ეს ჩინებული პიესა და ნათესავები არავინ გამოსჩენია ორასის წლის წინათ მცხოვრებ რმაში გამოხატულ გმირებსა, და ახლა ზორში კი გამოჩენილა. ქარგი მათუსალა ყოფილა, თქვენმა მზემ, ეს ზორის ადმინისტრატორი!..

* * *

მარტისა და აპრილის (მესამე და მეოთხე) წიგნი „იმედისა“ ერთად გამოვიდა გუშინ და დაურიგდა ხელის-მომწერლებს. მოგვყავს შინაარსი ამ წიგნისა:

„მეტიევ“—მოთხრ. შაქროსი, „თავადის სიზმარი“ (ლექსი)—ზ. ჭრელაშვილისა, „მეომარი“ (ლექსი)—ლ. რ.—ზ—კ—ლისა, „იმედ-მიხდილი“ (ლექსი) — ზ. ქართველიშვილისა, „უკანასკნელ სისხლის წვეთამდინ“ მოთხრ. მისტრის ბერენსისა (თარგმ.), „ახალ მოდის ექიმი“ (ლექსი, თარგ.) —მიხ. ჩსათიანისა, „ბედნიერი ქალი“ (ლექსი, თარგმ.)—ს. ნასიძისა, „ჩვენი ცხოვრების ლვინდრ[illegible] „[illegible]“ (დასასრული)—სტ. ჭრელაშვილისა, „რამდენიმე სიტყვა ჩვენს მეურნეობაზედ“ —***-ისა, „ბიბლიოგრაფია: დედა-ენა“—ზადაღმელისა, „ივერიის“ მე-IV წიგნი და ურიდიული მიმოხილვა“, „შინაური მიმოხილვა“—მიხ. ზურგენიძისა, „ოლრიოდე სიტყვა ბ. ნიკოლაძის გასამართლებაზედ“—ტატალასი და განცხადება.

ქართულის ენის სწავლებაზედ

ყველამ ვიცით, რომ ჩვენს დაბალს და საშუალო სასწავლებლებში ქართული ენა ფრთა შეკვეცილია, რომ იგი განდევნილია საყოველთაო საგნებიდგან და, თუ რომელსამე სასწავლებელში ასწავლიან, ისიც უგვანოდ, უხეიროდ და გულ-აცრუებით. ვამბობ „უხეიროდ“-მეთქი, რადგანაც თვითეულს კლასში ქართულის ენისათვის დანიშნულია ზოგან ორი, ზოგან ერთი და ბევრგან არც ერთი გაკვეთილი კვირაში!

რა და როგორ უნდა ისწავლონ მოსწავლეთ, როდესაც სხვა საგნების აუარებელ გაკვეთილების რიცხვთან ქართულის ენისათვის დანიშნული აქვსთ მათ წელიწადში მხოლოდ 30-მდინ გაკვეთილი, ოც-და-ათი საათი!

დიალ კარგი იქნებოდა, რომ რაც არის, იმაზედ მაინც იყოს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება; მაგრამ, საუბედუროდ, ამ ყურადღებასაც მოკლებულია ქართული ენა: სხვა საგნებში—რუსულში, ბერძნულში, ლათინურში თუ გადასასვლელი ნიშნები აქვს მოსწავლეს, ქართული რომ კითხვაც არ იცოდეს, მაინც გადაჰყავთ უმაღლესს კლასში... მოსწავლემ იცის ეს და იგიც გულ-აყრით ეპყრობა სამშობლო ენასა.

ქარგი იქნებოდა, რომ მოსწავლეთ ესმოდესთ სამშობლო ენის სწავლის მნიშვნელობა, რომ თავის-თავად სწავლობდნენ, მაგრამ მას არც მასწავლებლისაგანა აქვს ჩაგონებული ეს საჭიროება და არც თვითონ არის

ვიდრე ქართლ-ქახეთის 30-ს წლის ვაჟ-კაცები.

მთელ წლის განმავლობაში იზრდება ანუ იკვებება სიმინდის მჭადით, ქერ-სვილის პურით კეცზედ ნაცარში გამომცხვერით. ძალიან ყვარებიათ ცომიანი საქმელები, მაგალითებრ: ამათ იციან ვარენიკი (ყველის ხინკალი), ნიერი ხინკალი (ცომში შახვეული ნიორი და ადუღებულ წყალში მოხარშულია), ნიგვზის ხინკალი (ესეც ამ გვარ მოხარშული), ტკბილაი (გამოფურებული პური დაიფქვის, ფქვილს დამდუღვრენ, ძალიან გააკივებენ, ვამოკვრენ ცომში, გამოაცხობენ კეცში და გემო მიეცემა ტკბილი თაფლში მოზელილსავით), მხლოვანა (ჭარხლის ფოთელს, ან თეთრ მხალსა დასჭრიან წმინდათა, გააკეთებენ კვერცხით, ხახვით, ქინძით, ყველით, გამოკვრენ ქერქში, გამოაცხობენ, ერბოს დაასხმენ და სჭამენ); იციან ორაგულის ხორცევანი და სხვ. ხორცისა იციან ხინკალი, ხორცევანი და ყაურმა მემცხვარული.

ზუდა მაყარში ისეთი ძველებური ნივთეულება და ჩვეულება აქვთ, როგორც ფშავ-ხევსურთა, რომელნიც კაცს თვალ-წინ გამოუხატავენ ჯვრის ოლბებსა, მაგალითებრ, იციან მიცვალებულის მოხსენება შუა ლაძისას, როდესაც მთელს გარშემო ბუნებას სძინავს, აქვთ ჯვარი ვერცხლისა იარაღზედ და სხვ...

ძალიან მტკიცედ მიმდევარია კერპობისა: თუ ვინმე უცხო კაცმა ან მღვდელმა მისცა დარიგება, მაგალითებრ: სისუფთავეზედ, მკითხველების დავიწყებაზედ, დედა-კაცების მელოგინების დროს ტყეში მელოგინობაზედ, ესენი ისე კერპულად მიუგებენ, რომ დაგეკარგებათ ყოველივე ხალისი დარიგებისა. ესენი ბევრ მთის ხალხზედ ჭუჭყიანათ და ბინძურად სცხოვრობენ; ამათ სადგომ სახლში პატიოსანი კაცი თავის ფურთხს ვერ გაიმეტებს გააფურთხოს; თავის დღეში არც პირს იბანენ, არც დაიბანენ თავსა, ფეხებსა და არც უყვართ დაბარცხნა თმისა.

წმიდა საიდუმლო ზიარებას მიიღებენ მხოლოთ მძიმე ავათ-მყოფობის დროს; არც იციან პირის-ჯვრის გამოხატვა, არც მღვდლის დარიგებას და სწავლას ისმენენ; ამათ მღვდელი ისე არა სწამთ, როგორც თავიანთი დ)კანოზები (ხატის ხელის მკადრე თავი კაცნი).

ნიჭიერება, მსჯელობა ამათი სხვადა-სხვა საგანზედ გააკვირვებს კარგს ნასწავლსაც. თუ კაცმა მიიახლოვა მთიულ გუდა-მაყრელები სალაპარაკოთ, ისე იგავურად, მძიმეთ, წყნარათ, დაფიქრებით და ღრმათ დაუწყებს ლაპარაკსა, რომ მოლაპარაკეს გაუკვირდება და, თუ რომ მოლაპარაკემ დაცინვა დაუწყო ლაპარაკში, ან თითონ შაუტყო, რომ ლაპარაკობს არა ჭეშმარიტად, მაშინ ციმასაც გაუბედავენ დაუხათრებლივ ვინც უნდა იყოს; ამიტომ ამ ხალხთან ლაპარაკი ძალიან ძნელია მისთვის, ვინც არ იცის ამათი ხასიათი და პასუხისგება.

(გაგრძელება)

ჯერ გონებით იმდენად გახსნილი, რომ ესმოდეს ესა; იგი სწავლობს საგნებს მხოლოდ იმიტომ, რომ გადავიდეს უმაღლესს კლასში...

თვით ცხლანდელ ჩვენებურ სასწავლებელთ მიმართულებაც ხელს უწყობს მოსწავლეთ ამ გვარ მოქმედებაში... ჩვენ სრულიად ვერ გავამტყუნებთ ამაში ქართულის ენის მასწავლებელთ: იგინი თითქოს მაჩანჩალად არიან, მასხარად არიან აგდებულნი: ნახეთ რას იღებენ ჯამაგირა-ს „**Памятная книжка Кавказскаго учебнаго округа**“-ში (1879 წ.): სავაჟო გიმნაზიებში სრულიად არც არის ხსენება ქართულის ენისა, ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში კი ქართულის ენის მასწავლებელს 360 მან. აქვს დანიშნული; ტფილისის საქალებო გიმნაზიაში ქართულის ენის მასწავლებელი იღებს წელიწადში 60 მანეთსა, ტფ. საქალებო პროგიმნაზიაში კი 30 მანეთსა! სამოქალაქო სასწავლებლებში ქართულის ენის მასწავლებელი იღებს 75 მ., სასულიერო სასწავლებლებში სრულიად მღვდლები იხდიან თავის სურვილისამებრ, მაგ. თელავის სასულ. სასწ. ქართულის ენის მასწავლებლისათვის კვირაში რვა გაკვეთილზედ დანიშნულია წელიწადში 200 მანეთი!

აი, ამიტომაც მომეტებული ნაწილი ჩვენის ახალგაზრდობისა სრულიად უმეცარი გამოდის სასწავლებლიდამ ქართულს ენაში... ჯერ-ჯერობით მთელს საქართველოში არსებობს მხოლოდ ერთად-ერთი სასწავლებელი, რომელშიაც ეს მეორე წელიწადია ქართული ენა სარგებლობს სხვა საგნებთან თანასწორის უფლებითა, რომელშიაც დაარსებულია ქართულის ენის კათედრა; ეს სასწავლებელი არის გორის საოსტატო სემინარია.

თუ როგორ მიდის ქართულის ენის სწავლება ჩვენს საშუალო სასწავლებლებში, ამის შესახებ მრავალჯერ თქმულა ადგილობრივს მწერლობაში, ამისათვის ამათზედ რაიმეს თქმა ჩემის მხრით იქმნებოდა ოცჯერ გამოთქმულის აზრის განმეორება... ვგონებ ისიც ყველამ უწყით, თუ როგორ „დიაკვნურად“ მიჰყავს გ. ტ—შვილს საეკკლესიო წიგნთკითხვის სწავლება ტფ. სასულიერო სემინარიაში.

ჩვენის ფიქრით, ქართულის ენის სწავლება შედარებით სხვა დაბალს სასწავლებლებთან, უკეთესად სასულიერო სასწავლებლებშია დაყენებული. როგორც ზევითაცა ვსთქვით, ქართულის ენის მასწავლებელთ ხსენებულს სასწავლებლებში სამღვდელოება აძლევს ჯამაგირს თავის საკუთარის ჯიბიდგან; ამიტომაც მხოლოდ სამღვდელოებას ეკუთვნის ამ მასწავლებელთა ზედამხედველობა და მათგან ანგარიშის მოთხოვნა. მთავრობა არასფერს აძლევს მათ და სამართლიანობაც მოითხოვს, რომ იგი არ გაერიოს ამათს საქმეში. მღვდლებზედ არის დამოკიდებული ქართულის ენის ბედი: შეუძლიანთ წარმატებით წაიყვანონ, შეუძლიანთ სრულიად მოუსპონ ჯამაგირი და, მაშასადამე თვით ქართული ენაც თავის სასწავლებელში. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ და სასიხარულოდ, ცხადად ვხედავთ, რომ სამღვდელოება ამ მხრით უფრო გონივრულად უყურებს საქმესა, ვიდრე ჩვენი თავად-აზნაურობა. სამღვდელოებას დააკისრა სასულიერო მთავრობამ მოსამზადებელის კლასების თავის ხარჯზედ შენახვა; მასვე დააკისრეს ქართულის ენის მასწავლებლის შენახვა. სამღვდელოებამ იკისრა ორთავეს შენახვა და, შეძლებისა-და-გვარად, სცდილობს თვისის შვილების გვარიანად აღზრდასა. მას კარგად ესმის, რომ თუ სასულიერო სასწავლებელში მაინც არ ისწავლა მისმა შვილმა სამშობლო ენა, შემდეგ სრულიად ველარ ეღირსება მის სწავლას უმაღლეს სასწავლებელში—სემინარიაში.

განსაკუთრებითს ყურადღებას ვითხოვთ სასულ. სასწავლებლების ქართულ ენის მასწავლებელთაგან, რომელთაც ჩვენ წარუდგენთ მოკლედ ჩვენს პროგრამასა და რომელთაგან ვითხოვთ აზრს საზოგადოდ, შეერთებულის ძალით „ქართულის ენის პროგრამმის შესადგენად სასულ. სასწავლებლისათვის“. სასულიერო სასწავლებლებში ამ რიგად არის დაყენებული ქართული ენა:

პირველს წელიწადს სწავლა განსაკუთრებით ქართულს ენაზედ მიდის; მეორე და მესამე წელიწადს ქართულის ენისათვის კვირაში ექვს-ექვსი გაკვეთილია დანიშნული. სამს წელიწადს თავდება მოსამზადებელი კლასი. სამის წლის განმავლობაში კეთილ-სინიდისიან მოსწავლებლის ხელმძღვანელობით მასწავლენი გვარიანს, გარკვევით კითხვას სწავლობენ, ათავებენ „დედა ენასა“ და ერთს ნაწილს „ბუნების კარისას“. შემდეგს ოთხს კლასში, თვითო კლასში ქართულის ენისათვის დანიშნულია ორ-ორი გაკვეთილი კვირაში. რა და როგორ უნდა ვასწავლოთ ქართული ენა ოთხს კლასში? აი კითხვა, რომელზედაც ჩვენ უნდა გამოვჰსთქვათ ჩვენი აზრი. ჩვენ წარმოვადგენთ აქ იმ პროგრამმას, რომლითაც თვით ჩვენ ხელმძღვანელობთ სამის წლის განმავლობაში.

პირველი კლასი: 1) „ბუნების კარი“ კითხვა „სტატიებამდინ ბუნების მეცნიერებიდამ“, 2) „იგავ-არაკნი“ კრილოვიდამ და „სიბრძნე-სიცრუიდამ“ (ზეპირად) თ. რ. ერისთვისაგან გალექსილნი, 3) „პატარა ბიბლიოთეკის“ კითხვა, 4) ზოგი-ერთი ლექსები თვით „ბუნების კარის“ მესამე განყოფილებიდგან ზეპირადვე, 5) წინადადებათა განსაზღვრება და გარჩევა, 6) სახელები და ზმნა კანკლედობით და ულვლილებით.

მეორე კლასი: 1) დასრულდება „ბუნების კარი“ ზოგიერთა მოთხრობათა გამოტოვებით; 2) „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნის კითხვა სიტყვათა და და აზრთა განმარტებით 3) 12 თავი პოემიდამ „დიმიტრი თავ-დადებული“ ზეპირად; 4) გრამმატიკიდამ-განმეორება ნასწავლისა და შემდეგ სტყვის ნაწილებზედ; 5) 15 მოთხრობა „საქართველოს ისტორიიდგან“ შესანიშნავს მეფეებზედ და 6) ხუცურის კითხვის დაწყება.

მესამე კლასი: 1) სრული გრამატიკა, რამდენადაც შესაძლებელია; 2) კითხვა მოთხრობათა: „კაცია ადამიანი,“ „გლახის ნაამბობი“ და სხვა ამ გვართა ზოგიერთა ადგილთა გამოტოვებით; 3) ისტორიული ლექსები ზეპირად, მაგ. „სადღეგრძელოდან;“ 4) „დავითიანის“ კითხვა და 5) „საქართველოს ისტორია“ სისტემატიურად (შეძლებისამებრ) დასაბამიდგან მე-XIII საუკუნემდინ.

მეოთხე კლასი: 1) სრული „საქართველოს ისტორია“ დასაბამიდგან რუსეთთან შეერთებამდინ; 2) ისტორიულის ადგილების კითხვა „დავითიანიდამ;“ 3) „ისტორიულის წერილების, მოთხრობათა, ლექსების, კამედიების“ და სხვა ამ გვართა კითხვა 4) საეკკლესიო წიგნების კითხვა ხუცურად სიტყვათა განმარტებით და 5) ზოგიერთა ადგილების კითხვა „ვეფხვის-ტყაოსნიდგან“ სამაგალითოდ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რადგანაც გაკვეთილები ფრიად მცირეა და თითქმის სრულიად „საქართველოს ისტორიას“ და „ხუცურის“ კითხვას უნდება, მოსწავლენი სხვა-და-სხვა ლიტერატურულ თხზულებათ მომეტებულად გაკვეთილების გარეშეთად კითხულობენ იმ წიგნთაგან, რომელთაც ჩვენ თვითონ ვაძლევთ და წაკითხულის ანგარიშსაცა ვთხოვთ.

ამის გარდა მოსწავლენი ვარჯიშობენ ქართულს თხზულებათა წერაში... საქართველოს ისტორიის მოსწავლენი სწავლობენ ჩვენგან შედგენილის სახელ-მძღვანელოთი, რომელიც ჯერ ხელთ-ნაწერია და რომელსაც იგინი სწერენ თითო გაკვეთილობით; ეს უკანასკნელი გარემოება ბევრს დროს აკარგვინებს მოსწავლეთ და სასურველია, რომ მალე გვენახოს დაბეჭდილი ისტორიის სახელმძღვანელო...

დასასრულ მივმართავ ყველა მცოდნე პირთ, განსაკუთრებით ქართულის ენის მასწავლებელთ და ვთხოვ წარმოსთქვან თვისი აზრი ამ მძიმე საგნის შესახებ, რომ შეერთებულის ცოდნით და მეცადინეობით შევადგინოთ წესიერი პროგრამმა ქართულის ენისა რომ შემდეგისათვის მაინც წარმატებაში შეიყვანოთ ჩვენი ენა, სამშობლო ენა, ოდესმე დიდებული და აწ-კი დაცემული...

ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენმა საშუალო სასწავლებლებმა არამც-თუ არ გვასწავლეს დედა-ენა, არამედ არც-კი ჩაგვინერგეს გულში მისდამი პატივისცემა და სიყვარული; ნაცვლად ამისა გვზრდევნიდნენ კიდეც უბრალო ქართულის წიგნის კითხვისათვის!..

თუ ჩვენ „ნამდვილნი“ მასწავლებელნი ვართ, თუ ვემსახურებთ ჭეშმარიტებასა და სამშობლოსა,—ნუ დავივიწყებთ წმ. ექვთიმესავან ჩაგდებულს საძირკველსა, რომელზედაც უკვდავმა შოთა რუსთაველმა აგო განდიდებული, მშვენიერი სასახლე! რა უყოთ, თუმცა მონღოლთ და თემურლენგმა დაანგრიეს „ის“ სასახლე, თუმცა ოსმალთა და ყიზილბაშთ მიწასთან გაასწორეს ესვე სასახლე, მაგრამ საძირკველი ისევ მაგრად დარჩა: ვერც ერთმა საქართველოს მტერმა ვერ შეიძლო ამ საძირკვლის ძირიანად ამოღება! და თუ საძირკველი კიდევ ასე მაგარია ათის საუკუნის შემდეგ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მაგარს საძირკველზედ მაგარი სასახლეც აშენდება... ვიშრომოთ ერთგულად შეძლებისა-და-გვარად და მერწმუნეთ ჩვენს სიცოცხლეშივე ვიგემებთ ჩვენის შრომის ნაყოფსა—„ნეტარ არს, ვინცა ნაშრომი ნაყოფთა თვისთა ჭამოსა“-ო, ამბობს პოეტი დავით გურამიშვილი...

ვათავებთ ამ შენიშვნას იმ იმედით, რომ ვისაც შეეხება, ყველა თავის აზრს წარმოჰსთქვამს ზემოდ მოხსენებულს საგანზედ, რომელიც ფრიად დიდის ყურადღების ღირსია...

რ. მამსაშვილი.

უცხოეთი

—

თუნისი. ვენიდამ იწერებიან, რომ ავსტრიამ და გერმანიამ უარი უთხრა თუნისის ბეის (მთავარს) შუამდგომლობაზე.

— თუნისის ბეის დაუწყია მოლაპარაკება საფრანგეთის წარმომადგენელთან რუსტანთან საფრანგეთთან მორიგების შესახებ.

— ოსმალეთის მთავრობას წინადადება შემოაქვს, რომ თუნისის საქმე მედიატორის წესით გაირჩიოს.

— პარიჟიდამ იწერებიან 18 აპრილს, რომ თუნისის ექსპედიცია მალე დაბოლოვდებაო და თუნისი საფრანგეთის მფარველობის ქვეშ დარჩებაო.

— ომიანობას თუნისში ხელს უშლის ვაუწყვეტელი ავდრები, მაგრამ ფრანცუზებს მტრის სისუსტე ძრიელ ეხმარებათ. ფრანცუზის ჯარებმა სრულებით თავისუფლად დაიჭირეს თუნისის ნაპირა ალაგები; ხრუმირები თან-და-თან უკან იწევიან. ბეიმ ხელ-ახლად შესჩივლა ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რომ საფრანგეთმა დაარღვია ხალხთა-შორისი პირობები, რადგანაც თუნისი ითვლება ოტომანის იმპერიის ქვეშევრდომადო. ოსმალეთის წარმომადგენელს უკვე ჰქონდა მოლაპარაკება ამის შესახებ საფრანგეთის უცხო საქმეთა მინისტრთან ბარტელემი-სანტ-ილერთან, რომელთანაც აგრეთვე იყვნენ ავსტრიის, გერმანიის და იტალიის წარმომადგენელნიც. მაგრამ განცხადება თუნისისბეის უთანხმოების ჯერ-ჯერობით უნაყოფოთ მიდის.

—

ოსმალეთი. სტამბოლიდამ იწე-

რებიან, რომ ალბანიელების დამშვიდება ისე ადვილი არ შეიქნა, როგორც ეგონათ. დერვიშ-ფაშა, მართალია, თუმცა გამარჯვებული შევიდა ქ. პრიზრენდში, მაგრამ მაინც ვერ მოიმხრო ალბანიელების წინამძღოლები. ამათ გამოაცხადეს, რომ არავითარი მოლაპარაკება არ ჰ.ურთ ოსმალებთან და ოსმალეთს ყოველთვის ჰხედავენ თავის მტრათ, სანამ უსკუბში დატუსაღებული ალბანიელების რამოდენიმე წინამძღოლები არ იქმნებიან განთავისუფლებული.

დერვიშ-ფაშა, როგორც მიუვიდა ჯარი, იმ წამსვე გავა პრიზნერიდამ და წავა დიაკოვოზე და პრიშტინზე.

როგორც ამბობენ, ოსმალების რამოდენიმე ბატალიონი დაუმარცხებიათ ალბანიელებს უჩალიაში ბუსინიეს გზაზედ. ამბობენ აგრეთვე, რომ სა-ხრეთ ალბანიაში ადგენენ ადგილობრივ კომიტეტებს ალბანიის საჩოგადოებისას, ცენტრალურ კომიტეტის ქვეშევრდომობით, რომ სდევნონ იქიდამ ოსმალების ჩინოვნიკებსა და მსაჯულებს.

— ინგლისურს ვაზ. „*Standard*“-ში იწერებიან, რომ პარტის ალბანიელებს შორის მოძრაობა არისო, რომლითაც გამოიხატება, რომ ისინი წინააღმდეგი იქმნებიან საბერძნეთის ჯარის იმ ადგილებში შემოსელაზედაო.

ნარევი

ფრანცუზულს გაზეთებში იწერებიან, რომ მიცვალებულს გამოჩენილ პუბლიცისტ-ლიტერატორს ეძიდ-დე-ჟირარდენს რვა მილიონი ფრანკის შეძლება დაუტოვებია. ეს სიმდიდრე მას შეუძენია თავის ჟურნალისტიკური მოღვაწეობითა და გაზეთების გამოცემით.

* * *

ერთი ახალ-გაზდა კაცი, რომელიც პეტერბურგში სწავლისათვის იყო წასული, მაგრამ ნევსკის პროსპექტის ტკეცნის მეტი არაფერი გაუკეთებია, დაბრუნდა თავის სამშობლო ქალაქს ქუთაისს და აქ საბანკო კრებების დროს მოიდომა საკუთარი დასის დაწყობა „მაღალ იდეებისათვის საბრძოლველად“, როგორც თვითონ ამბობდა. თავისი საგანი რომ უფრო ადვილად შეესრულებია, მისწერა თავის მოხუცებულს და გაგზავნიან ბიძას წერილი, რომელშიაც უსსნიდა დასსობის მნიშვნელობას კატორღობის წარმატებაში და ბარათს ასე ამოდგებდა:

....„ასე ჩემო ბიძია. ახლა უმორჩილესად გთხოვ, კრების პირველ ზასედანიზედვე აქ, გორადში, იყო, და თან ორმოციოდე შარიანები (კენჭიანები) ჩამოიყვანო. შენ თუ ერთი შარის მეტი არ გაქვს, მეორე შარიც დაგვერენოსტით იშოვნე

შენი სდინების თხვენის
მცემელი (ეს-და-ეს).

პასუხი უფრო მოკლე იყო:

„— საუკარელო ძმისწულო!

„მწამს რომ ნასწავლი კაცი ხარ, რუსეთში გაზდილი, მაგრამ ამის თქმას მაინც გაგიბედავ: გეგეო ჩემო კარგო შარითა და შარიანებით მამეღის საქმეების წაყვანა. ჩემს ჭალარა ულვაშს ბეფიცები, ამ რიგი საქციელით ჩვენ თვითონ ეულს ვიჭრით.. ნასწავლი ემაწვილები თუ ხართ, იმას ეცადეთ, რომ მამეღის საქმე უშაროთ და უშარიანებოთ კეთდებოდეს,-ო ბიძაშვილობას! მომიტევე, თხოვნას ვერ გისრულებ!

შენი კეთილის მდომი ბიძა ირაკლი.

განცხადებან

—

10 მაისს ამ 1881 წელსა, დილის ათ საათზედ, გაიხსნება ქ. გორში, გორის უეზდის თავადთ-აზნაურთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) ამოირჩიოს რამდენიმე პირნი წევრათ უეზდის კომიტეტის შესადგენათ, რომელიც წესდება მთავრობის კანკარგულებით, რათა მოიუვანოს სრულ ცნობაში: გორის უეზდის თავად-აზნაურებისაგან ჰრიკაზში დაგირავებული სოფლის მამულების მდგომარეობა; მამულების ჰატრონების შეძლების მდგომარეობა და აგრეთვე მოიუვანოს ცნობაში-თუ რაოდენათ შეუძლიან დაგირავებულ მამულს ასდენა ჰრიკაზის ვალისა და

2) მოიჰოვოს ღონის-ძიება, რომლითაც შეიძლოს კომიტეტმა მინდობილი საქმეების შესრულება.

ამის გამო უმორჩილესად ვთხოვ გორის უეზდის თავადაზნაურობას, რომლებსაც აქვთ ჰრიკაზში დაგირავებული სოფლის მამულები, მობრძანდნენ კრებაში დანიშნულს ვადაზედ.

გორის უეზდის კეთილშობილთ წინამძღოლელი თ. ა. ამილახვარი

(3—1)

უნივერსიტეტის სტუდენტს ჯსურს ზაფხულის განმავლობაში ამლოს გაკვეთილები გიმნაზიის კურსიდამ. თანახმაა სოფელშიაც წავიდეს.

მსურველს შეუძლიან „დროების“ რედაქციას მიმართოს.

(5—2)

თფილისის ქალაქის

გამგეობისაგან.

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ რადგან ცხენის გადასახადის მომგრებნი მეიჯარადრენი თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი მარტიროს ნუნუფაროვი და ალექსანდროპოლის ვაჭარი სიმონ მატინოვი ამ საქმიდამ გადაყენებულნი არიან, ამის გამო ამა მაისის 12-ს, გამგეობის თანადასწრებით, იქნება ვაჭრობა ამ იჯარის გაცემაზედ.

დაწვრილებით პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან ქალაქის გამგეობის კანცელარიაში მუდამ დღე დილის 10 საათიდამ შუადღემდინ, გარდა უქმ დღეებისა და სასულმწიფო დღესასწაულებისა.

სანამ მოიჯარადრე აღმოჩნდება და ეს საგანი იჯარით გაიცემა, ცხენების ჰატრონები ვალდებულნი არიან, რომ სვედრი გადასახადი ცხენებისა—ჰირ-და-ჰირ უბრალოდ (გამგეობაში) წარმოადგინონ.

(3—3)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაგასასყიდლათ პირველი ოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუნებისა, საპონისა, შჩოკებისა, ცხვირ-საცხოტისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კოშჩეკინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯარის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანს იგარები.

(100—57)

ანგარიში

ხვანჭკარის გამსესხებელ-შემნასკელი ამხანაგობისა 1880 წლის

1 იანვარს 1880 წლისა იყო;

შემოსავალი:	მან.	კ.	გასავალი:	მან.	კ.
წილის ფული — —	9318	—90	გამსესხებელი — — —	7,904	— „
სასარგებლოდ შემოტანილი — — — —	459	— „	ნაღდი ფული კასაში —	2,862	—48
სათადარიგო თანხა —	159	—91			
წმინდა მოგება — —	828	—67			
სულ	10,766	—48	სულ	10,766	—48

1880 წელში.

შემოსავალი:	მან.	კაპ.	გასავალი:	მან.	კაპ.
წილადი ფული — —	852	—99	წილადი ფული — —	572	—20
სარგებელი დაჭერილი კასესხების ან ახალის ვადის მიცემის დროს—	1,301	—15	მოგება 1879 წლის წილადებზედ მიცემული	511	—41
ჯარიმა — — — —	141	—66	გასესხებული — — —	20,635	— „
დაბრუნებული სესხები	17,461	— „	სარგებელი დაბრუნებული ვადაზე წინ გარდახდილი სესხისა —	33	—48
სასარგებლოდ შემოტანილი — — — —	386	— „	სასარგებლოდ შემოტანილი — — — —	345	— „
სათადარიგო თანხა —	83	— „	სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილისათვის —	35	—17
სხვა-და-სხვა შემოსავალი	18	—65	სამმართველოს ხარჯი—	20	— „
			სხვა-და-სხვა გასავალი—	24	—25
			აღებ-მიცემობის გასავალი — — — — —	272	—01
სულ —	20,244	—45	სულ —	22,448	—52

1 იანვარს 1881 წელსა არის:

შემოსავალი:	მან.	კაპ.	გასავალი:	მან.	კაპ.
წილადი ფული — — —	9,599	—69	გასესხებული — — —	11,078	— „
სასარგებლოდ შემოტანილი — — — —	500	— „	ნაღდი ფული კასაში—	658	—41
სათადარიგო თანხა— —	242	—91			
წმინდა მოგება — — —	1,393	—81			
სულ	11,736	—41	სულ	11,736	—41

წევრნი გამგებლობისა: { თ. კოსტანტინე ყიფიანი. ს. გოცირიძე. ოსისიმე ძოწენიძე.

(3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Маія 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: იო. ჯაჯანაძე და ს. მესხი.